

• Visegrad Fund

საინფორმაციო ბიულეტენი სლოვაკეთის საჯარო კომუნალურ სექტორში არსებული მარეგულირებელი გარემოს შესახებ

ავტორი: ვერონიკა ორავცოვა, სლოვაკეთის
საგარეო პოლიტიკის ასოციაციის კვლევითი
ცენტრი (SFPA)

პროექტი: ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების
გაზიარება კომუნალური მომსახურების რეგულირების
შესახებ

თარიღი: აპრილი/მაისი 2024



SFPA
Slovak Foreign Policy Association

1. შესავალი

ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი (შემდგომში “მარეგულირებელი ოფისი”) წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს, რომელიც აკონტროლებს ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, თბური ენერჯისა და წყალმომარაგების სექტორებს. მარეგულირებელი ოფისი დაარსდა 2001 წლის აგვისტოში და მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყება და უფლებამოსილია უზრუნველყოს ბალანსი ინვესტორებისა და მომხმარებლების ინტერესებს შორის და წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო (საჯარო) ორგანოს, რომელიც ახორციელებს ქსელის სექტორის ზედამხედველობას¹.

მარეგულირებელი ოფისის მთავარი ფუნქციაა ორივე მხარის ინტერესების დაცვა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია რენტაბელობაზე. ამავდროულად უზუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ მომხმარებლები არ ექვემდებარებოდნენ არასამართლიანი ფასების პრაქტიკას. ამრიგად, მარეგულირებელ ოფისს ევალება ხელი შეუწყოს ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ გარემოს შექმნას მომხმარებელთა კეთილდღეობისთვის ზიანის მიყენების გარეშე და ამგვარად უზრუნველყოს სამართლიანობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის ფასწარმოქმნის პროცესში.

მარეგულირებელი ოფისის შექმნა განაპირობა ევროკავშირში გაწევრიანების წინა პერიოდში ტრანსფორმაციისა და პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან ენერჯეტიკის სექტორის რეგულირების ადაპტირების საჭიროებამ, განსაკუთრებით კი ელექტროენერჯის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1996 წლის 19 დეკემბრის 96/92/EC დირექტივის და ბუნებრივი აირის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1998 წლის 22 ივნისის 98/30/EC დირექტივის იმპლემენტაციამ². მისი უპირველესი მიზანია ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და თბური ენერჯის სექტორებში რეგულირებადი საქმიანობის მონიტორინგი, ყველა მხარის უფლებების დაცვით. საკანონმდებლო თვალსაზრისით, მარეგულირებელი ოფისის უფლებამოსილება განისაზღვრება საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით. კერძოდ, ქსელის სექტორის შესახებ No.250/2012 კანონით, რაც არეგულირებს ფასებსა და მოქმედების სფეროს ქსელის სექტორის ფარგლებში. თუმცა, თითოეული სექტორი მოქმედებს კონკრეტული საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად, რაც აწესებს პირობებს მათი შესაბამისი საქმიანობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი ოფისი დამოუკიდებლად ფუნქციონირებს, მთავრობა იტოვებს ექსკლუზიურ უფლებას დანიშნოს მისი თავმჯდომარე (დაწვრილებითი ორგანიზაციული სტრუქტურისთვის იხილეთ დანართი I). ეს დინამიკა ხაზს უსვამს მარეგულირებელი ოფისის გადამწყვეტ როლს სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებაში,

¹ URSO-ს შესახებ (2024). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/about-urso/> (2024 წლის 30 აპრილი)

² წლიური ანგარიში (2002). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/data/att/5ec/549.1df729.pdf> (2024 წლის 30 აპრილი)

განსაკუთრებით ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის საბოლოო მომხმარებლის ფასების რეგულირების ან შეზღუდვის კუთხით, ასევე მოწყვლადი მომხმარებლებისთვის, როგორცაა საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და მცირე ბიზნესი. ყოველწლიურად, ამ სექტორებში რეგულირებულმა სუბიექტებმა მარეგულირებელ ოფისს უნდა წარუდგინონ წინადადებები თბური ენერჯის და ელექტროენერჯის ფასებზე. მარეგულირებელი ოფისი შეაფასებს, ამტკიცებს ან განსაზღვრავს ამ ფასებს ფორმალური პროცედურებით, რაც უზრუნველყოფს ფასების მექანიზმების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას³.

ამასთან, მარეგულირებელი ოფისის რეგულირების სფერო ვრცელდება ფასების მართვის მიღმაც. მაგალითად, ის გასცემს წარმოშობის სერთიფიკატებს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯისთვის, ლიცენზიებს ბიზნეს ოპერაციებისთვის ამ სექტორის ფარგლებში და ასევე ადგენს შეღავათიანი ტარიფის განაკვეთებს. დაარსების დღიდან მარეგულირებელი ოფისი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცენტრალური გათბობის სისტემაში სითბოს წარმოებისა და დისტრიბუციისთვის ლიცენზირების ჩარჩოების ჩამოყალიბებაში, და ამავდროულად მკაცრად არეგულირებს ფასებს ცენტრალური გათბობის სისტემის მიწოდების ჯაჭვში.

2. კანონმდებლობა

მარეგულირებელი ოფისი შეიქმნა ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ No.276/2001 კანონის საფუძველზე. კანონი არეგულირებდა შემდეგ საქმიანობას:

- ქსელის სექტორებში რეგულირების საგანი, ფარგლები, პირობები და მეთოდები;
- მარეგულირებელი ოფისის დაარსება, პოზიცია და უფლებამოსილება;
- რეგულირებადი საქმიანობის განხორციელების პირობები და რეგულირებადი სუბიექტების უფლება-მოვალეობები;
- ელექტროენერჯის და გაზის ბაზრის მუშაობის წესები;
- სამართალწარმოება კანონის შესაბამისად;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა კანონით დადგენილ ვალდებულებათა დარღვევისათვის⁴.

2012 წელს გაუქმდა აქტი, როდესაც ენერჯეტიკის შესახებ კანონი No251/2012 და ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ აქტი No250/2012 დაამტკიცა ეროვნულმა საბჭომ 2012 წლის 31 ივლისს. ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ კანონის N250/2012 თანახმად, მარეგულირებელი ოფისი მოქმედებს მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად თავისი ფუნქციების შესრულებისას. სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვა სახელისუფლებო ორგანოებს ან ფიზიკურ პირებს ეკრძალებათ მარეგულირებელ სამსახურზე ზეგავლენის მოხდენა მისი მოვალეობების შესრულებისას.

³ ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ქვეყნების ენერჯეტიკის პოლიტიკა: სლოვაკეთის რესპუბლიკა, 2018, მიმოხილვა (2018). ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://www.iea.org/reports/energy-policies-of-iea-countries-slovak-republic-2018-review> (2024 წლის 30 აპრილი)

⁴ ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ კანონი No.276/2001, Zákony pre ľudí. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.zakonypreludi.sk/zz/2012-250> (2024 წლის 30 აპრილი)

მარეგულირებელ ოფისს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სლოვაკეთის მთავრობა. ამასთან, მარეგულირებელ ოფისს ჰყავს ორი ვიცე-თავმჯდომარე, რომელთა დანიშვნა-გათავისუფლებას ადგენს მთავრობა თავმჯდომარის წარდგინებით. მარეგულირებელი საბჭო პასუხისმგებელია სტრატეგიულ მართვაზე და ქსელის სექტორის რეგულირების კონცეპტუალიზაციაზე. მარეგულირებელი საბჭო (იხ. დანართი I) მოქმედებს, როგორც მარეგულირებელი ოფისის მმართველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული მიმართულებების უზრუნველყოფაზე და მარეგულირებელი კონცეფციების ჩამოყალიბებაზე ქსელის სექტორში. ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ No 250/2012 კანონის თანახმად, მარეგულირებელი საბჭო შედგება ექვსი წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სლოვაკეთის პრეზიდენტი. წევრების დანიშვნა ასახავს დაბალანსებულ წარმომადგენლობას, სადაც სამი წევრი წარდგენილია სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს (პარლამენტი), ხოლო სამი მათგანი - სლოვაკეთის მთავრობის მიერ.

მარეგულირებელ ოფისთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს კანონების ფართო სპექტრს, რომელიც არეგულირებს ქსელის სექტორების, ენერგეტიკის, განახლებადი რესურსების და მომხმარებელთა უფლებების სხვადასხვა ასპექტს. ეს კანონები კოლექტიურად უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს მარეგულირებელი ოფისი, განსაზღვრავს მის მარეგულირებელ ფუნქციებს, მომხმარებელთა დაცვის ინიციატივებს და საერთო მმართველობას ქსელის სექტორში და მასთან დაკავშირებულ სექტორებში. აღნიშნულ კანონებში შედის:

- კანონი No250/2012 ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ, რომელიც ადგენს ძირითად სექტორებში მარეგულირებელი ზედამხედველობის ჩარჩოს
- კანონი No251/2012 ენერგეტიკის შესახებ, რომელიც ასახავს რეგულაციებს ენერჯის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების შესახებ
- კანონი No309/2009 განახლებადი ენერჯის წყაროების და მაღალეფექტიანი კომბინირებული წარმოების მხარდაჭერის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯის ხელშეწყობას
- კანონი No657/2004 თერმული ენერჯის შესახებ, რომელიც არეგულირებს თერმული ენერჯის წარმოებას და განაწილებას
- კანონი No442/2002 საერთო სარგებლობის წყალმომარაგებისა და წყალარინების, წყლის მართვასა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შესახებ
- კანონი No364/2004 წყლის შესახებ (წყლის აქტი), რომელიც არეგულირებს წყლის რესურსებს და მის გამოყენებას
- კანონი No71/1967 ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ადმინისტრაციული ბრძანება), ადმინისტრაციულ საკითხების განხილვის წესის შესახებ
- კანონი No391/2015 სამომხმარებლო დავების ალტერნატიულ გადაწყვეტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმებს ტრადიციული სამართლებრივი გზების ფარგლებს მიღმა
- კანონი No9/2010 საჩივრების შესახებ, სადაც დეტალურად არის აღწერილი საჩივრებისა და პრეტენზიების შეტანის წესები
- კანონი No321/2014 ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ხელშეწყობას

- კანონი No98/2004 მინერალურ ზეთზე აქციზის შესახებ, რომელიც არეგულირებს მინერალური ნავთობპროდუქტების დაბეგვრას
- კანონი No609/2007 ელექტროენერჯის, ნახშირისა და ბუნებრივი აირის აქციზის, ასევე ელექტროენერჯის, ქვანახშირისა და ბუნებრივი აირის დაბეგვრის შესახებ
- კანონი No211/2000 ინფორმაციაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას და მასზე ხელმისაწვდომობას.

3. მარეგულირებელი პოლიტიკა

მარეგულირებელი პოლიტიკა განსაზღვრავს სტრატეგიას, რომელიც ადგენს რეგულირების ფარგლებს და ფუნდამენტურ პარამეტრებს ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზის, თბური ენერჯისა და წყლის მართვის სექტორებში. ის მოიცავს აქტივობების მთელ სპექტრს, წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებამდე, მათ შორის ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციას, როგორცაა გადაცემა, ტრანსპორტირება, განაწილება და შენახვა. მარეგულირებელი პოლიტიკის მიზანია დაადგინოს რეგულირების განხორციელების ძირითადი ჩარჩოები, წესები და ამოცანები განსაზღვრული მარეგულირებელი პერიოდის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ მასში არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ეკონომიკური ფორმულები და დაკავშირებული ცვლადები. მათ განსაზღვრავს მარეგულირებელი ორგანო საყოველთაოდ სავალდებულო სამართლებრივი რეგულაციებისა და დადგენილებების გამოცემით. მარეგულირებელი პოლიტიკა სავალდებულოა ბაზრის ყველა მონაწილისთვის ქსელურ ინდუსტრიებში რეგულირების პერიოდის განმავლობაში⁵, რაც უზრუნველყოფს რეგულირებადი სუბიექტებისთვის წესების სტაბილურობას და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ საშუალოვადიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებები.

2023 წლის მარტში მარეგულირებელმა ოფისმა შეიმუშავა მარეგულირებელი პოლიტიკა მეექვსე მარეგულირებელი პერიოდისთვის (2023-2027). ამ პოლიტიკის უპირველესი მიზანი იყო შემდგომი რეგულირების საჭიროების შეფასება და ფასების რეგულირების ფარგლებისა და წესის დასაბუთება. გარდა ამისა, ახალი მარეგულირებელი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ევროპაში არსებული გარეგანი ფაქტორებისა და მოვლენების გათვალისწინებას და მათზე სათანადო რეაგირებას. ეს ფაქტორები წარმოიშვა Covid-19-ის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის, უკრაინაში მიმდინარე ომისა და გაზის საბითუმო ბაზარზე განვითარებული მოვლენების შედეგად. ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც მარეგულირებელი პოლიტიკა შემუშავდა გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შესაქმნელად, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა ინვესტიციებისა და ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტური

⁵ ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ კანონი (2012) Zákony pre ľudí. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.zakonypreludi.sk/zz/2012-250> (2024 წლის 30 აპრილი)

განხორციელებისთვის. ეს პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს საკანონმდებლო პაკეტიდან "სუფთა ენერჯია ყველა ევროპელისთვის" (მე-4 ენერგეტიკული პაკეტი) და მომავალი პაკეტიდან "Fit for 55" და "გაზის პაკეტი"⁶.

რეგულირებად საქმიანობაში შედის⁷:

- ელექტროენერჯიის წარმოება, გადაცემა, განაწილება და მიწოდება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ელექტროენერჯიის ბაზრის მოკლევადიანი საქმიანობის ორგანიზება;
- ელექტროენერჯიის შექმნა;
- ბუნებრივი გაზის წარმოება, ტრანსპორტირება, განაწილება, შენახვა, მიწოდება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- თბური ენერჯიის წარმოება, განაწილება და მიწოდება;
- სასმელი წყლის წარმოება, განაწილება და მიწოდება კომუნალური წყალმომარაგებით;
- ჩამდინარე წყლების არინება და გაწმენდა კომუნალური წყალარინების სისტემებით;
- ზედაპირული წყლების, ენერგეტიკული წყლის მოპოვება მდინარეებიდან და ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისება.

ტრადიციულად, მარეგულირებელი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი ფოკუსირებულია ენერჯიის მოწყვლადი მომხმარებლების დაცვაზე და მოიცავს საბოლოო მომხმარებლის ფასებს. მოწყვლად მომხმარებლებში შედის საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და მცირე საწარმოები, რომელთა ელექტროენერჯიის წლიური მოხმარება შეადგენს მაქსიმუმ 30 მეგავატ საათს (მგვტ/სთ) და გაზის მოხმარება კი - მაქსიმუმ 100 მგვტ/სთ-ს (გაანგარიშებული წინა წლის მოხმარების საფუძველზე). მარეგულირებელი სამსახური ადგენს მაქსიმალურ ფასებს, თუმცა მომწოდებლებს შეუძლიათ მომხმარებელს შესთავაზონ დაბალი ფასები. თუ ეკონომიკური პარამეტრები მნიშვნელოვნად შეიცვლება, რეგულირებად სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ფასის კორექტირება მარეგულირებელი ოფისისგან. გარდა ამისა, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს აქვთ უფლებამოსილება ჩაერიონ ფასების დადგენის პროცესში.

⁶ მარეგულირებელი პოლიტიკა (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.urso.gov.sk/data/files/321_20220329_regulacna_politika_final.pdf (2024 წლის 30 აპრილი)

⁷ ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ კანონი (2012) Zákony pre ľudí. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.zakonypreludi.sk/zz/2012-250> (2024 წლის 30 აპრილი)

ელექტროენერჯია

ელექტროენერჯის ბაზრის მონაწილეები განსაზღვრულია ენერჯეტიკის შესახებ კანონით No251/2012 და მოიცავს:

- ელექტროენერჯის მწარმოებლებს;
- ელექტროენერჯის ბაზრის მოკლევადიანი ოპერატორს, OKTE;
- გადამცემი სისტემის ოპერატორს, SEPS;
- განაწილების სისტემის ოპერატორებს (რეგიონული გამანაწილებელი სისტემები; ადგილობრივი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები)
- კომპანიებს;
- ელექტროენერჯის მიმწოდებლებს;
- საბოლოო მომხმარებლებს;
- ელექტროენერჯის მყიდველს;
- აგრეგატორებს;
- საცავის ოპერატორებს;
- ენერჯეტიკულ გაერთიანებებს;
- პირდაპირი ხაზის ოპერატორს.

ელექტროენერჯეტიკა ყველაზე კომპლექსური სექტორია ენერჯის განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლის გამო. ამასთან მარეგულირებელი ოფისი ახორციელებს სატარიფო და ტექნიკურ (არასატარიფო) რეგულირებას. მარეგულირებელი ოფისი: ამტკიცებს ქსელის კოდექსებს სისტემის ოპერატორებისთვის, ადგენს პირობებს ელექტროენერჯის განაწილების სისტემებით გადაცემისთვის, ადგენს მეთოდოლოგიას გადამცემი სისტემის ოპერატორებისთვის ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად და შეიმუშავებს/ახლებს ქსელის მოდელის კოდექსებს ადგილობრივი გამანაწილებელი ოპერატორებისთვის. მაგალითად, გადამცემი სისტემის ოპერატორი (რომელსაც ფლობს და მის ოპერირებას ახორციელებს Slovak Power Grid SPS, რომელიც 100% სახელმწიფო საკუთრებაშია) ვალდებულია ყოველწლიურად შეადგინოს გადამცემი სისტემის განვითარების გეგმა მომდევნო ათი წლისთვის (ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა) და წარუდგინოს ეკონომიკის სამინისტროს და მარეგულირებელ ოფისს და ანგარიშვალდებულია აცნობოს გეგმის შესრულების შესახებ.

მარეგულირებელი ადგენს ქსელის ტარიფებს გადამცემი სისტემის ოპერატორის ქსელის მომხმარებლებისთვის (დარეზერვებული სიმძლავრის ტარიფები (სიმძლავრეზე დაფუძნებული), გადაცემული ენერჯის ტარიფი (ენერჯიაზე დაფუძნებული) და გადაცემის დანაკარგების ტარიფი), ასევე ელექტროენერჯის ყველა საბოლოო მომხმარებლისთვის (ტარიფი სისტემური მომსახურებისთვის). რეგიონული გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებისთვის რეგულირების ოფისი ადგენს ქსელის ტარიფებს, რომლებიც ვრცელდება გამანაწილებელი ქსელის მომხმარებლებზე (ელექტროენერჯის განაწილების ტარიფები დანაკარგების გარეშე, მათ შორის ელექტროენერჯის გადაცემა - დარეზერვებული

სიმძლავრის კომპონენტი; ელექტროენერჯის განაწილება დანაკარგების გარეშე, მათ შორის ელექტროენერჯის გადაცემა - განაწილებული ელექტროენერჯის კომპონენტი; და დანაკარგები განაწილების დროს). სატარიფო რეგულაცია ვრცელდება ადგილობრივი გამანაწილებელი ქსელის ოპერატორებზეც. სისტემის ექსპლუატაციის ტარიფი (TPS) არის ელექტროენერჯის საბოლოო ფასის ერთ-ერთი კომპონენტი და ვრცელდება ელექტროენერჯის თითოეულ საბოლოო მომხმარებელზე. მისი მიზანია სისტემის ექსპლუატაციის ხარჯების ანაზღაურება, რაც ძირითადად მხარს უჭერს ელექტროენერჯის წარმოებას განახლებადი ენერჯის წყაროებიდან და ელექტროენერჯისა და სითბოს კომბინირებული წარმოებიდან, ელექტროენერჯის წარმოებას ადგილობრივი ქვანახშირიდან და ელექტროენერჯის მოკლევადიანი ბაზრის ოპერატორის ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის “სპოტ ბაზრის” ორგანიზებას, შეფასებას და სხვა აქტივობებს⁸.


წინა მარეგულირებელი პერიოდი (2017-2022) ასახავდა გამოწვევებს სუფთა ენერჯის პაკეტის ფარგლებში გაერთიანებული ევროპული კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის დასრულებასთან დაკავშირებით, მეექვსე მარეგულირებელი პერიოდის (2023-2027) ახალი მარეგულირებელი პოლიტიკა კი ასახავს დინამიურ ცვლილებებს ელექტროენერჯის ბაზარზე ენერგეტიკული კრიზისის დროს. შესაბამისად, მარეგულირებელი პერიოდი ითვალისწინებს მიწოდების ახალი ინოვაციური პროდუქტების შემუშავებას, რაც მხარდაჭერილია დინამიური ტარიფებით და ახალი ტიპის განაწილების ტარიფებით. ეს მიზნად ისახავს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირებას ან ელექტროენერჯის ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის საცავის და მოქნილობის უზრუნველყოფას. მიმდინარე და განვითარებადი ტენდენციების (აგრეგაცია, მოქნილობა) განვითარების ერთ-ერთი პირობაა დინამიური ფასები, IMS-ის დანერგვასთან ერთად. მარეგულირებელი პოლიტიკის ახალი ელემენტი იქნება დარეზერვებული სიმძლავრისა და განაწილების უფრო დინამიური ფასები. მარეგულირებელი ოფისი ხელს შეუწყობს გამანაწილებელის სისტემის დატვირთვების მართვას მოქნილობის გამოყენებით ან დინამიური ტარიფიკაციის კონცეფციის შემუშავებით (დარეზერვებული სიმძლავრის დინამიური შეფასების ჩათვლით). ეს მიზნად ისახავს არსებული გამანაწილებელი სისტემის სიმძლავრის უფრო ეფექტიანად გამოყენებას, დროთა განმავლობაში სისტემის გადახრის შემცირებას და ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მონაწილეების საჭიროებების მხარდაჭერას. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრები სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულია ევროკავშირის მასშტაბით. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე მარეგულირებელი ოფისის კომპეტენცია შემოიფარგლება საკანონმდებლო პირობების შექმნით და შესაბამისობის მონიტორინგით. საბითუმო ბაზარზე მიმდინარეობს ელექტროენერჯით თავისუფლად ვაჭრობა ევროკავშირის ფარგლებში. ელექტროენერჯის საბითუმო ფასი ყალიბდება ურთიერთდაკავშირებული ერთიანი ევროპული ელექტროენერჯის ბაზრის ფარგლებში და

⁸ წლიური ანგარიში (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/data/att/7dc/2683.305ded.pdf> (2024 წლის 30 აპრილი)

არ ასახავს ელექტროენერჯის წარმოების რეალურ ღირებულებას (ევრო/მგვტსთ) ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში. ამის ნაცვლად, ის ასახავს ელექტროენერჯის საბაზრო ფასებს, რომელიც გამოქვეყნებულია შესაბამისი ენერჯო ბირჟის მიერ შესაბამისი პროდუქტისთვის (სლოვაკეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის შემთხვევაში, განმსაზღვრელი ფაქტორია PXE სასაქონლო ბირჟა)⁹.

კონკურენციასა და მომხმარებელთა ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამართულად ფუნქციონირებადი საცალო ბაზრებისთვის, სადაც მომხმარებლების მიერ ენერჯის მიმწოდებლების შეცვლა წარმოადგენს მთავარ ინდიკატორს. არსებობს ორი ფორმის შეცვლის ტარიფი: შიდა, როცა მომხმარებლები ხელახლა აწარმოებენ კონტრაქტებზე მოლაპარაკებებს თავიანთ ამჟამინდელ მომწოდებელთან და გარე, როცა მომხმარებლები ნებაყოფლობით ცვლიან მომწოდებლებს. მომხმარებლისთვის წლიური შეცვლის მაჩვენებლებთან დაკავშირებული მონაცემები უზრუნველყოფილია ACER-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელსაც იყენებს მარეგულირებელი ოფისი და წარმოადგენს მომხმარებელთა წილს, რომლებმაც შეცვალეს მომწოდებლები ყველა შესაბამისი აღრიცხვის პუნქტიდან. ზოგადად, შეცვლის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს გაზრდილ კონკურენციაზე და კარგად ფუნქციონირებად ბაზარზე. და პირიქით, გადართვის დაბალი მაჩვენებელი შეიძლება მიუთითებდეს ბაზარზე კონკურენციის ნაკლებობაზე ან ალტერნატიული მომწოდებლების მხრიდან არასაკმარის სტიმულირებაზე, რაც აბრკოლებს მომხმარებლების მიერ მიმწოდებლის შეცვლას (იხ. ნახაზი 1).

ნახაზი 1. შეცვლის მაჩვენებელი ელექტროენერგეტიკულ სექტორში (%)



⁹ 2021-2030 წლების ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის განახლების პროექტი (2023). ევროკომისია. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://commission.europa.eu/document/download/4f373d12-ce73-403a-a2d5-0107bf3e0c24_en?filename=SLOVAKIA%20-%20DRAFT%20UPDATED%20NECP%202021-2030_EN.pdf (2024 წლის 30 აპრილი)

მონაცემთა წყარო: ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი

ბუნებრივი გაზი

გაზის ბაზრის მონაწილეები განსაზღვრულია ენერგეტიკის შესახებ კანონით No. 251/2012 და მოიცავს:


- გაზის მწარმოებლებს;
- გადამცემი სისტემის ოპერატორს, eustream;
- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს (SPP-distribucia), ადგილობრივი გამანაწილებელი ქსელის ოპერატორებს;
- გაზის მიწისქვეშა საცავის (UGS) ოპერატორებს;
- გაზის მომწოდებლებს;
- გაზის მომხმარებლებს;
- გაერთიანებას, რომელიც აწარმოებს განახლებად ენერჯიას.

მარეგულირებელი ოფისი ახორციელებს გაზის სექტორში რეგულირებადი საქმიანობისთვის, როგორც სატარიფო, ასევე ტექნიკური (არასატარიფო) რეგულირების ზედამხედველობას, №250/2012 და No251/2012 კანონების შესაბამისად.

გაზის ინფრასტრუქტურაში ტარიფების რეგულირება ორიენტირებულია გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ხელმისაწვდომობაზე, ასევე გაზის მწარმოებლებისა და ახალი მომხმარებლების ქსელთან მიერთებაზე. ქსელის ინფრასტრუქტურის არასატარიფო რეგულაცია მოიცავს ქსელის ოპერატორების, მათ შორის საცავის ობიექტების, მუშაობის წესების დამტკიცებასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. მარეგულირებელი ოფისი აფასებს ტექნიკურ მოთხოვნებს ქსელთან წვდომისა და კავშირის შესახებ, უზრუნველყოფს უკუკავშირს და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს ცვლილებების შეტანას. 2023 წლამდე სამომხმარებლო ტარიფები იყოფოდა ექვს სატარიფო ჯგუფად გაზის წლიური მოხმარების მიხედვით. 2023 წლიდან მარეგულირებელი ოფისი ტარიფებს რვა სატარიფო ჯგუფისთვის ადგენს.

გაზის ბაზრის ლიბერალიზაციის დონე, ისევე როგორც ელექტროენერჯიის სექტორში, იზომება მიმწოდებლის შეცვლის კოეფიციენტით, რაც მიუთითებს იმ მომხმარებელთა მიწოდების პუნქტების თანაფარდობას, რომლებიც ცვლიან გაზის მიმწოდებლებს. ბოლო მონაცემებით შეცვლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით დიდ და საშუალო ზომის საწარმოებში.

ნახაზი 2. შეცვლის მაჩვენებელი ბუნებრივი გაზის სექტორში (%)



მონაცემთა წყარო: ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი


თბური ენერჯის სექტორი

თბური ენერჯის ბაზრის მონაწილეები განსაზღვრულია თბური ენერჯის შესახებ კანონით No. 657/2004 და მოიცავს:

- თბური ენერჯის მწარმოებლებს;
- თბური ენერჯის მიმწოდებლებს;
- თბური ენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს;
- საბოლოო მომხმარებლებს.

თბური ენერჯის ბაზარი, პირველ რიგში, განისაზღვრება თბურ ენერჯიაზე მომუშავე სისტემების თავისებურებით. 2022 წელს 333 ლიცენზირებული სუბიექტი იყო ჩართული თბური ენერჯის გამომუშავებაში, განაწილებასა და მიწოდებაში ქვეყნის გათბობის სექტორში. საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის თბური ენერჯის მთავარი მიმწოდებელია სს MH Teplárenský Holding, a.s, რომელსაც სადგურები აქვს ბრატისლავაში, კოშიცეში, ტრნავაში, ჟილინაში, მარტინსა და ზვოლენში. მათი მიწოდება ცალკეული ქარხნებიდან მერყეობს 120 გვტ.სთ-დან 800 გვტ.სთ-მდე წელიწადში.

ნახაზი 3. სუბიექტები თბური ენერჯის სექტორში



მონაცემთა წყარო: ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი

2022 წელს სატარიფო რეგულაცია შეეხო სითბოს გამომუშავებას, განაწილებასა და მიწოდებას და ტარიფები (ფასები) განისაზღვრა თბური ენერჯის მაქსიმალური ტარიფის გამოთვლის განსაზღვრული მეთოდით, ფასის მეთოდზე დაყრდნობით, ფასის ზედა ზღვრის ზოგიერთი ელემენტის გამოყენებით. მარეგულირებელი ოფისი განსაზღვრავს გათბობის ფასს თითოეული ადგილობრივი ცენტრალური გათბობის ქსელისთვის, რომელიც შედგება ფიქსირებული და ცვლადი კომპონენტებისგან. ფიქსირებული კომპონენტი მოიცავს ინვესტიციების გონივრულ ანაზღაურებას, რომელიც გამოითვლება ორი წლის წინანდელი მიწოდებული სიმძლავრის საფუძველზე. ფიქსირებული ხარჯები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმ ინვესტიციების გამო, რაც მიზნად ისახავს თბური ენერჯის გამომუშავებისა და განაწილების ეფექტურობის გაზრდას. ყოველი წლის ბოლოს კომპანიებმა მარეგულირებელ ოფისს უნდა წარუდგინონ ფაქტობრივი ხარჯები. თუ ფაქტობრივი ხარჯები დამტკიცებულ ხარჯებზე დაბალია, ჭარბი თანხა უნდა დაუბრუნდეს მომხმარებელს. ფასი ქსელის ყველა მომხმარებლისთვის რჩება ერთიანი, განურჩევლად ზომისა და დგინდება ყოველწლიურად რეგულირების პერიოდის განმავლობაში. მომწოდებლებს არ აქვთ მოქნილობის ის დონე, რომ ცვალონ საფასური მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით ან წლის განმავლობაში¹⁰.

ამასთან, თბური ენერჯის მომწოდებლების ფასები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით. ეს ცვალებადობა განპირობებულია ცენტრალური გათბობის სისტემებში არსებული განსხვავებით, როგორცაა ზომა, წარმოების ტექნოლოგია, საწვავის ტიპები და ინვესტიციები თბური ენერჯის დანადგარებში. კიდევ ერთი

¹⁰ ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ქვეყნების ენერჯეტიკის პოლიტიკა: სლოვაკეთის რესპუბლიკა, 2018, მიმოხილვა (2018). ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.iea.org/reports/energy-policies-of-iaa-countries-slovak-republic-2018-review> (2024 წლის 30 აპრილი)

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სითბოს საბოლოო ფასზე, არის მიწოდების ჯაჭვი, როცა საბოლოო მომხმარებლისთვის თბური ენერჯის მიწოდების პროცესში მონაწილეობს რამდენიმე მიმწოდებელი ზედიზედ. ამან შეიძლება გამოიწვიოს თბური ენერჯის ფასის, განსაკუთრებით კი ფიქსირებული კომპონენტის ზრდა¹¹.

მარეგულირებელი ოფისი ატარებს ყოველწლიურ მონიტორინგს და აფასებს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებში სითბოს ფაქტობრივ მოხმარებას გათბობის და ცხელი წყლის მიწოდებისთვის. საკონტროლო ნიმუშში შედის 41000 საცხოვრებელი. 2022 წელს თბური ენერჯის მოხმარებამ ერთ საყოფაცხოვრებო მომხმარებელზე შეადგინა 5,722 კვტ.სთ, რაც წარმოადგენს 11.1%-იან კლებას 2021 წელთან შედარებით. თბური ენერჯის მოხმარების კლება შეიძლება განპირობებული იყოს ენერჯის დაზოგვისკენ მიმართული ღონისძიებებით და თბილი ამინდით 2022 წელს¹².

წყალმომარაგების სექტორის მართვა

წყალმომარაგების სექტორში ფასები ექვემდებარება რეგულირებას ენერჯეტიკის შესახებ კანონით №251/2012 და მოიცავს:

- სასმელი წყლის წარმოება და მიწოდებას კომუნალური წყალმომარაგების სისტემით;
- სასმელი წყლის წარმოება და განაწილება კომუნალური წყალმომარაგების სისტემით;
- სასმელი წყლის მიწოდება კომუნალური წყალმომარაგების ქსელით;
- ჩამდინარე წყლების დრენირება და გაწმენდა კომუნალური წყალარინების სისტემის საშუალებით;
- ჩამდინარე წყლების ჩაშვება კომუნალური წყალარინების სისტემის საშუალებით;
- ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობისთვის კომუნალური წყალარინების სისტემის საშუალებით მიწოდებული ჩამდინარე წყლების გაწმენდა;
- ზედაპირული წყლების მოპოვება მდინარეებიდან;
- წყლის ნაკადების ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალის გამოყენება;
- ენერჯეტიკული წყლის მოპოვება საწყლოსნო არხებიდან;
- საზოგადოებრივი წყალარინების სისტემაზე მიერთება.

მარეგულირებელი ოფისი ახორციელებს წყალმომარაგების სექტორის მართვის, მათ შორის, კომუნალური წყალმომარაგების, კომუნალური წყალარინების სისტემის და ზედაპირული წყლების მომსახურების სატარიფო რეგულაციის ზედამხედველობას. რეგულირებადი საქმიანობა კომუნალურ წყალმომარაგებასა და წყალარინების სისტემაში მოიცავს სასმელი წყლის წარმოებას, განაწილებას და მიწოდებას, ასევე ჩამდინარე წყლების შეგროვებას და

¹¹ წლიური ანგარიში (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/data/att/7dc/2683.305ded.pdf> (2024 წლის 30 აპრილი)

¹² წლიური ანგარიში (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/data/att/7dc/2683.305ded.pdf> (2024 წლის 30 აპრილი)

გაწმენდას. ზედაპირული წყლების გამოყენება რეგულირდება ზედაპირული წყლების მოპოვებისა და ჰიდროენერგეტიკის ექსპლუატაციისთვის. ამ სექტორებში მოქმედი კომპანიები, როგორც წესი, ფლობენ მონოპოლიას თავიანთ განსაზღვრულ სფეროებში, მათგან ბაზარზე დომინირებს წყალმომარაგების 14 მსხვილი კომპანია. სლოვაკეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ემსახურებიან ეს კომპანიები, თუმცა უფრო მცირე ოპერატორებიც არიან წარმოდგენილნი. ზედაპირული წყლების გამოყენებასთან დაკავშირებულ მომსახურებებში მონოპოლიური პოზიციის მქონე ერთადერთი რეგულირებადი სუბიექტი არის „სლოვაკეთის წყალმომარაგების კომპანია“, როგორც სახელმწიფოს მიერ დანიშნული ერთეული, რომელიც მართავს ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვან წყალსადენებს. წყლის აქტივების მართვა შეიძლება განახორციელოს მესაკუთრემ ან დაავალოს სხვა სუბიექტს. მარეგულირებელი ოფისი გასცემს სარეგისტრაციო მოწმობებს მარეგულირებელ სუბიექტებზე, რაც უზრუნველყოფს სატარიფო რეგულაციებთან შესაბამისობას და განსაზღვრავს მათი საქმიანობის სფეროს.

მარეგულირებელი ოფისი ადგენს ტარიფებს სატარიფო წარმოებით I და II კატეგორიის კომუნალური წყალმომარაგების ან/და კომუნალური წყალარინების სისტემის რეგულირებადი სუბიექტებისთვის სატარიფო გადაწყვეტილების გამოცემით. დამატებით, ის გასცემს სატარიფო დადასტურებას III კატეგორიის კომუნალური წყალმომარაგების ან/და კომუნალური წყალარინების რეგულირებად სუბიექტებზე. 2022 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებულია 680 რეგულირებადი სუბიექტი, რომლებიც ახორციელებდნენ კომუნალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ოპერირებას: წყალმომარაგების 14 კომპანია, ერთი ქალაქი, 40 მუნიციპალიტეტი და 86 მცირე კომპანია, რომლებიც ახორციელებენ I და II კატეგორიის კომუნალური წყალმომარაგების ან კომუნალური წყალარინების სისტემის ოპერირებას. ასევე, III კომუნალური წყალმომარაგების ან კომუნალური წყალარინების სისტემის ოპერირებას ახორციელებდა 539 დაბა და მუნიციპალიტეტი¹³.

4. ენერგეტიკული სიღარიბე

ენერგეტიკული კრიზისის დროს ყურადღება გამახვილდა ენერგორესურსებზე ფასების კომპენსირების აქტუალურ საკითხზე. თუმცა, ანალიტიკოსებმა აღიარეს, რომ აბსოლუტური კომპენსაციის მიდგომა არ არის მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც საჭიროებს მიზანმიმართული ზომების გატარებას. ამის საკითხის ეფექტურად გადასაჭრელად, უნდა განისაზღვროს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები, რომლებზეც გავლენას ახდენს ენერგორესურსებზე ფასების ზრდა. საკითხის განხილვა მიმდინარეობს როგორც ევროკავშირის, ისე წევრი ქვეყნების დონეზე. მაგალითად, ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ უკრაინაში ომის დაწყებამდე და ენერგორესურსებზე შემდგომი ფასების მატებამდე, 9,5 მილიონი დასაქმებული

¹³ წლიური ანგარიში (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/data/att/7dc/2683.305ded.pdf> (2024 წლის 30 აპრილი)

ადამიანისთვის პრობლემას წარმოადგენდა კომუნალური გადასახადების გადახდა. საბერძნეთი და ესტონეთი დასახელდნენ ისეთ ქვეყნებად, სადაც ადამიანებს უწევდათ ემუშავათ ყველაზე მეტი დღე ელექტროენერჯის წლიური ხარჯების დასაფარად. სლოვაკეთში, საშუალო ხელფასის მქონე პირებს უწევდათ წელიწადში 30 დღე ემუშავათ კომუნალური გადასახადების გადასახდელად, რაც მეოთხე ადგილზეა ევროკავშირში, ხოლო მინიმალური ხელფასის მქონე პირებს უწევთ შრომა 45 დღის განმავლობაში¹⁴.

ისტორიულად, ენერგეტიკული სიღარიბისგან მომხმარებლების დაცვას არასაკმარისი ყურადღება ექცევა მთავრობებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელმა ოფისმა გამოაქვეყნა კონცეფციის პროექტი 2019-2020 წლებში ენერგეტიკული სიღარიბის წინაშე მყოფი მომხმარებლების დასაცავად, ის არ განხილულა სამთავრობო დონეზე. მარეგულირებელმა ოფისმა აიღო ინიციატივა და შეიმუშავა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რის საფუძველზეც სლოვაკეთში დაიწყო ძალიან საჭირო დებატები ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ. 2022 წლის ბოლოსთვის მთავრობამ განიხილა მარეგულირებელი ოფისის მიერ წარმოდგენილი მასალები, რომლებიც მოიცავდა ენერგეტიკული სიღარიბის შემოთავაზებულ განმარტებას. ამ მასალამ, რომელიც დადებითად შეფასდა ენერგეტიკის ანალიტიკოსების მიერ, გამოავლინა, რომ სლოვაკეთის საყოფაცხოვრებო მომხმარებლების თითქმის მეოთხედი ენერგეტიკულ სიღარიბეს ებრძვის. ამ პრობლემასთან გამკლავების მიზნით წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფინანსური, საკანონმდებლო და მხარდამჭერი ღონისძიებები.

წინადადება მოიცავს ენერგეტიკული სიღარიბის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომ უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშაოს კონკრეტული კრიტერიუმები და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებები. 2023 წლის მარტში მარეგულირებელმა ოფისმა ჩამოაყალიბა მინისტრთაშორისი ჯგუფი, რომელიც შედგებოდა შესაბამისი სამთავრობო ორგანოებისგან (სოციალური და საოჯახო საკითხების, ფინანსების, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის ჩათვლით), რომლის მიზანია მეთოდოლოგიის განსაზღვრა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმებისა და ენერგეტიკული სიღარიბისგან მომხმარებელთა დასაცავი ზომების შეთავაზება¹⁵. შემოთავაზებული მეთოდოლოგია განსაზღვრავს ენერგეტიკული სიღარიბის საფრთხის ქვეშ მყოფ საყოფაცხოვრებო მომხმარებელს, ენერჯისა და წყლის მთლიან ხარჯებსა და განკარგულ შემოსავლებს შორის

¹⁴ კომუნალური გადასახადები ახლა უტოლდება ყოველთვიურ ხელფასს ყველაზე დაბალანაზღაურებადი სამსაურების შემთხვევაში. (2022). ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://etuc.org/en/pressrelease/energy-now-costs-months-wages-low-paid> (2024 წლის 30 აპრილი)

¹⁵ 2021-2030 წლების ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის განახლების პროექტი (2023). ევროკომისია. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://commission.europa.eu/document/download/4f373d12-ce73-403a-a2d5-0107bf3e0c24_en?filename=SLOVAKIA%20-%20DRAFT%20UPDATED%20NECP%202021-2030_EN.pdf (2024 წლის 30 აპრილი)

ბალანსზე დაყრდნობით. ის ასევე ითვალისწინებს საბაზისო ენერგეტიკულ სტანდარტს და საარსებო მინიმუმს, რომელიც შეესაბამება ეროვნულ და ევროკავშირის კანონმდებლობას. გარდა ამისა, შემოთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილებები, როგორცაა ტარიფის ოპტიმიზაცია, უფასო გადახდის გრაფიკი, ზამთარში მომსახურების შეწყვეტის აკრძალვა და კარდაკარ ენერჯის გაყიდვის აკრძალვა. გარდა ამისა, მარეგულირებელი ოფისი მომხმარებლებს სთავაზობს საგადასახადო შეღავათებს, გაზრდილ ფინანსურ დახმარებას და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ინიციატივებს. ის ასევე მხარს უჭერს შენობების ენერგეტიკული შეფასების უფრო მკაცრ წესებს, ფართოდ გავრცელებულ ენერგეტიკულ საკონსულტაციო ქსელებს და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიურ ჩართულობას ენერგეტიკული სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე რეკომენდებულია ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ ცენტრალიზებული საინფორმაციო ცენტრის შექმნა. მომხმარებელთა დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მარეგულირებელმა ოფისმა შექმნა მომხმარებელთა დაცვის სპეციალური დეპარტამენტი და ვებ-გვერდის ქვეგანყოფილება მომხმარებელთა საჩივრებისთვის¹⁶. მისი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

5. საერთაშორისო თანამშრომლობა

მარეგულირებელი ოფისი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მარეგულირებელ პარტნიორებთან. ის მონაწილეობს მარეგულირებელთა საბჭოს სხდომებში 2019/942 რეგულაციის (EU) შესაბამისად, რომელიც აკონტროლებს ევროკავშირის ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) ფუნქციებს. სააგენტო მდებარეობს ლუბლიანაში, სლოვენიაში. ეს ჩართულობა ხელს უწყობს ევროპული ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაციას და მარეგულირებელი ჩარჩოების ჰარმონიზაციას ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, მაგრამ ასევე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასა და უკეთ კოორდინაციას სხვა მარეგულირებელ სააგენტოებთან.

გარდა ამისა, მარეგულირებელი ოფისი მონაწილეობს ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებელთა საბჭოს (CEER) შეხვედრებში, ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას და ევროპაში ელექტროენერჯის და გაზის ერთიანი შიდა ბაზრის განვითარებას. 2001 წლიდან მარეგულირებელი ოფისი არის ენერგეტიკის მარეგულირებელთა რეგიონული ასოციაციის (ERRA) წევრი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, მარეგულირებელ გამოცდილების გაზიარებას და გლობალური მარეგულირებელი ცოდნის ხელმისაწვდომობას ვორქშოპებისა და კონფერენციების მეშვეობით¹⁷.

¹⁶ URSO ომბუდსმენი (2024). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/121183-en/urso-ombudsman/> (2024 წლის 30 აპრილი)

¹⁷ საერთაშორისო თანამშრომლობა (2024). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/international-cooperation/> (2024 წლის 30 აპრილი)

6. დასკვნა


მარეგულირებელი ოფისი ახორციელებს მარეგულირებელი პოლიტიკის ზედამხედველობას, რაც მიზნად ისახავს ენერგეტიკის სექტორში გამჭვირვალე და დამოუკიდებელ რეგულირებას. ეს კი არსებითად მნიშვნელოვანია სტაბილურობის და საშუალოვადიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების ჩარჩოს უზრუნველსაყოფად ქსელის სექტორის ბაზრის მონაწილეებისთვის და ენერგომომხმარებლების დასაცავად.

მარეგულირებელი პოლიტიკის მომავალი გამოწვევები ასევე განსაზღვრულია მიმდინარე მარეგულირებელ პერიოდში¹⁸ (2023-2027 წწ.). პირველ რიგში, მარეგულირებელ პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს არაპროგნოზირებადი მოვლენები, როგორც ეს დაფიქსირდა ენერგეტიკული კრიზისის დროს. ასევე, პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას, რომელიც ხელს უწყობს დაბალი ნახშირბადის ენერჯის წყაროებს და განახლებადი ენერჯის გაზრდის გამოყენებას, რაც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს სლოვაკეთისთვის. ეს გულისხმობს ევროკავშირის ბაზრის სტრუქტურასა და ენერგეტიკული კავშირთან დაკავშირებული ახალი კონცეფციების მიღებას, რაც მიზნად ისახავს მომხმარებლების გაძლიერებას, რომ გახდნენ „აქტიური მომხმარებლები“, რომლებსაც შეუძლიათ ელექტროენერჯის წარმოება, შენახვა და მიწოდება, და ამასთან უზრუნველყონ მოქნილი მომსახურებები სისტემაში. პოლიტიკის მთავარი მიზანია, რომ ევროკავშირის ყველა საბოლოო მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა ეკოლოგიურად მდგრად ენერჯიაზე გონივრულ ფასად, რაც მოითხოვს ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტების ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა ყველა სეგმენტში, მსხვილი სამრეწველო კომპანიებიდან მცირე საყოფაცხოვრებო მომხმარებლებამდე.

მარეგულირებელი პოლიტიკის იმპლემენტაცია ასევე ითვალისწინებს ენერგეტიკული ბაზრის დინამიკის განვითარებას ევროპის უფრო ფართო რეგიონულ კონტექსტში. მეტიც, ევროკავშირის მომავალი ინიციატივები, რომლებიც პასუხობენ ამ გამოწვევებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს საერთო ევროპულ წესებში, უფრო ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და მდგრად ენერჯის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს რესურსების დივერსიფიკაცია წიაღისეული საწვავის იმპორტზე დამოკიდებულების შესამცირებლად და დაბალი ნახშირბადის ენერჯის წყაროებზე გადასვლის დაჩქარება.

¹⁸ მარეგულირებელი პოლიტიკა (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.urso.gov.sk/data/files/321_20220329_regulacna_politika_final.pdf (2024 წლის 30 აპრილი)

დანართი I. ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისის ორგანიზაციული სტრუქტურა (2024 წლის იანვრიდან)



წყარო: ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი